



სს „პროგრედიტ ბანკის“ ფიზ. პირის სესხის უზრუნველყოფაში
არსებული უძრავი ქონების დაზღვევა

დაზღვევის პირობები

V 10.01.2022

თქვენ ეცნობით სს „პროგრედიტ ბანკის“ ფიზიკური პირის სესხის უზრუნველყოფაში არსებული უძრავი ქონების დაზღვევის ძირითად პირობებს. აღნიშნული საინფორმაციო ფურცელი არ შეიცავს ამომწურავ ინფორმაციას და იგი არ არის დაზღვევის ხელშეკრულების ტოლფასი. შესაბამისად, მისი გაცნობა არ წარმოშობს ჩვენს შორის სამართლებრივ შედეგებს.

მზღვეველი ორგანიზაცია: სს სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი“ (204426674)

დამზღვევი ორგანიზაცია: სს “პროგრედიტ ბანკი” (ს/კ 204851197)

ანაზღაურების მიმღები (მოსარგებლე) ორგანიზაცია: სს “პროგრედიტ ბანკი” (ს/კ 204851197)

მზღვეველის მისამართი: თბილისი, კოსტავას 67

მზღვეველის ცხელი ხაზი / ტელეფონი: (+995 32) 2 505 111

დაზღვევის ხელშეკრულების სახე

წინამდებარე დოკუმენტი შეიცავს სს „პროგრედიტ ბანკის“ ფიზიკური პირის სესხის უზრუნველყოფაში არსებული უძრავი ქონების დაზღვევის ძირითადი პირობების მოკლე ინფორმაციას. თქვენ მიერ შესაბამისი დაზღვევის შემდგომი შემთხვევაში, გადმოგეცემათ დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი “პოლისი”, რომელიც მასში მითითებულ დაზღვევის პირობებსა და ხელშეკრულების მნიშვნელოვან პირობებთან ერთად, წარმოადგენს დაზღვევის ერთიან ხელშეკრულებას.

რა არის დაზღვეული?

თქვენს და სს “პროგრედიტ ბანკს” შორის სესხის უზრუნველსაყოფად დატვირთული შენობა-ნაგებობა ან სხვა კონსტრუქცია მთლიანად ან მის ნაწილი.

რა ტერიტორიაზე ვრცელდება დაზღვევა?

პოლისში მითითებული ტერიტორიული ფარგლები ან/და მისამართი, სადაც განთავსებულია დაზღვეული ქონება. დაზღვევა არ ვრცელდება იმ ქონებაზე, რომელიც ტოვებს სადაზღვევო ტერიტორიას, თუ კონკრეტულად სხვა რამ არ შეთანხმდა.

სადაზღვევო თანხა / სადაზღვევო ლიმიტი/ სადაზღვევო ქველიმიტი/ სადაზღვევო პრემია

„სადაზღვევო თანხა“/„სადაზღვევო ლიმიტი“ (სესხის უზრუნველყოფაში არსებული ქონების დაზღვევის შემთხვევაში) - “დამზღვევსა” და “მზღვეველს” შორის სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობა, რომელიც შეადგენს დაზღვეული ქონების რეალური საბაზრო ღირებულების 100%-ს. სადაზღვევო ლიმიტი წარმოადგენს „მზღვეველის“ პასუხისმგებლობის მაქსიმალურ, ზღვრულ ოდენობას.

სადაზღვევო ქველიმიტი - სადაზღვევო ლიმიტის ფარგლებში სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმალური შესაძლო ოდენობა ზიანის თითო შემთხვევასთან ან/და ცალკეულ ობიექტთან მიმართებით.

სადაზღვევო პრემია – დაზღვევის ღირებულება, რომელიც უნდა გადაუხადოს დამზღვევმა მზღვეველს დაზღვევის საფასურად. პრემიის ოდენობა განისაზღვრება სადაზღვევო პოლისით.

რისგან ხარტ დაზღვეული?

ხანძარი: ხანძარი, აფეთქება, მეხის დაცემა;

წყლით დაზიანება: წყალგაყვანილობის, წყლის გათბობისა ან საკანალიზაციო სისტემის დაზიანება; წყლის შემოჭრა მეზობელი სადგომიდან, მიწისქვეშა წყლის ამოსვლა, გრუნტის, მდგარი ან გამდინარე წყლის ზემოქმედებით;

ქონების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება: ქურდობა გატეხვით ან ფარული შეღწევით, მარცვა, ყაჩაღობა;

სახმელეთო სატრანსპორტო საშუალების დაჯახება ან/და საგნის დაცემა: ქონებაზე სახმელეთო სატრანსპორტო საშუალების დაჯახება საფრენი აპარატის ან მისი ნაწილის საგნის დაცემა (მ.შ.: ხის, ელექტროგადამცემი ბოძის და ა.შ);

სტიქიური უბედურება: ძლიერი ქარი (ქარიშხალი, გრიგალი), სეტყვა, წყალდიდობა, მეწყერი და სხვა სტიქიური უბედურება (გარდა მიწისძვრისა);

მიწისძვრა: ქონების დაზიანება მიწისძვრის შედეგად, თუ ეს გამოწვეულია არაა უშუალოდ ქონების სეისმური შეუსაბამობით;

მესამე პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება (ვანდალიზმი) (გარე მინის დაზიანების გარდა);

გარე მინის დაზიანება დაზღვეული რისკის შედეგად (მინის ფანჯარა, ვიტრინა, ვიტრაჟი, კარი, კედელი).

პრემია და მისი გადახდის წესი/ პოლისის გაცემა

პრემიის ოდენობა გამოითვლება სადაზღვევო ტარიფის მიხედვით, რომელიც განისაზღვრება 0,075%-ის ოდენობით სადაზღვევო თანხიდან. ამასთან, თითოეული სადაზღვევო პოლისის მინიმალური პრემია განისაზღვრება 100 ლარით.

პრემიის გადახდა შეიძლება განხორციელდეს ერთიანად ან განვადებით, რაც განისაზღვრება დაზღვევა ძალაში შედის პოლისის გამოწერის დღის მომდევნო დღის 24: 00 საათზე;

დაზღვევის პერიოდი

დაზღვევის პერიოდი იწყება მხარეთა მიერ პოლისის ხელმოწერისთანავე და იჭურება პოლისში აღნიშნული პერიოდის დამთავრების თარიღის 24:00 საათზე.

პრემიის (განვადებისას – მისი განწილვადებული შენატანის) გადახდა ხდება „დამზღვევსა“ და „მზღვეველს“ შორის გაფორმებული გენერალური ხელშეკრულების შესაბამისად.

დაზღვევა შეიძლება ვადამდე შეწყდეს:

თუ დამზღვევმა (დაზღვეულმა, მოსარგებლემ) მზღვეველს მიაწოდა არასწორი ინფორმაცია ქონებასთან, სადაზღვევო რისკთან ან ზიანთან დაკავშირებით, ან დროულად არ აცნობა, ან არასრულად/არაზუსტად აცნობა ანკეტა-განაცხადის მონაცემებში ცვლილებების ან რისკის გაზრდის შესახებ;

დამზღვევის წერილობითი მოთხოვნით;

ამ პირობებით ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

ფრანშიზა

< 1,000,000 ლარი სადაზღვევო თანხის შემთხვევაში:

5% ზარალიდან მინ. 1,500 ლარი (ყველა რისკზე სრული ზარალის და მიწისძვრის გარდა)

5% სადაზღვევო თანხიდან, მინ. 5,000 ლარი მიწისძვრის და სრული ზარალის შემთხვევაში

1,000,0001 – 3,000,000 ლარი სადაზღვევო თანხის შემთხვევაში:

5% ზარალიდან მინ. 2,000 ლარი (ყველა რისკზე სრული ზარალის და მიწისძვრის გარდა)

5% სადაზღვევო თანხიდან, მინ. 7,500 ლარი მიწისძვრის და სრული ზარალის შემთხვევაში

3,000,0001- 10,000,000 ლარი სადაზღვევო თანხის შემთხვევაში:

5% ზარალიდან მინ. 2,500 ლარი (ყველა რისკზე სრული ზარალის და მიწისძვრის გარდა)

5% სადაზღვევო თანხიდან, მინ. 9,500 ლარი მიწისძვრის და სრული ზარალის შემთხვევაში

როგორ მოიქცეთ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას:

დამზღვევმა (დაზღვეულმა) მზღვევებს წერილობით ან ცხელი ხაზის 032 2 505 111 მეშვეობით უნდა შეატყობინოს სადაზღვევო შემთხვევის შესახებ მისი აღმოჩენიდან დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უმეტეს 48 საათში და დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს შესაბამის ორგანოებს მომხდარი ფაქტის დაფიქსირების მიზნით.

რა არ ანაზღაურდება?

დაზღვევას არ ექვემდებარება:

- ფართი, რომლებიც მდებარეობს 1955 წელს ან უფრო ადრე აშენებულ შენობებში და/ან იმ შემთხვევაში თუ შენობა არის ამორტიზირებულ მდგომარეობაში (თუ აღნიშნული გარემოებების შესახებ ცნობილია მხარეთათვის და მაინც მოხდება ქონების დაზღვევა, ქონება ჩაითვლება დაზღვეულად მიუხედავად ქონების მდგომარეობისა);
- ინდუსტრიული ობიექტები, როგორც არის მეტალურგიული ქარხანა, ქიმიური ან/და ფეტქებადი ნივთიერებების ან ნებისმიერი რა ტიპის ქარხანა; ტოქსიკური და რადიოაქტიური ნივთიერებები;
- ჰესები, ანძები, ხიდები და სხვა სახის რთული საინჟინრო კონსტრუქციები;
- სასათბურე კონსტრუქციები;
- სასაწყობე მარაგები
- არქიტექტურული და ისტორიული ძეგლები;
- მობილური და/ან დროებითი კონსტრუქციები;
- ფასიანი ქაღალდი, ფული, ჩეკი, თამასუქი, სხვა ფინანსური ინსტრუმენტი და ხელშეკრულება;
- ხელნაწერი, გეგმა, ნახაზი, საბუღალტრო და ფინანსური დოკუმენტები; სხვა სახის დოკუმენტები, ხელნაწერები, ნახაზები;
- მოდელი, მაკეტი, ნიმუში, ფორმა და სხვა;
- ძვირფასი ლითონი, ლითონები და მათი ნაწარმი, ძვირფასი ქვა, ქვები, ძვირფასი ნაკეთობა, ბეწვეული და მისი ნაწარმი, განსაკუთრებული ისტორიული ან კულტურული ღირებულების მქონე ნივთები, ხელოვნების ნაწარმოები, საკოლექციო ნიმუში;
- კომპიუტერული ან სხვა ანალოგიური სისტემის ინფორმაციის ტექნიკური მატარებელი, მათ შორის მაგნიტური ლენტი, კასეტები, მაგნიტური დისკი, მეხსიერების ბლოკი, ელექტრონული ინფორმაცია, პროგრამები და სხვა არამატერიალური აქტივები; და ა.შ.;

- მარკა, ფულადი ნიშანი.
- შენობები და ნაგებობები, ასევე ამ შენობა/ნაგებობებში განთავსებული ქონება, თუ კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ აღიარებულია ავარიულად და/ან დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმებისას იმყოფება კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ ოფიციალურად აღიარებულ შესაძლო სტიქიური უბედურების ზონაში;
- ბანკომატები, თვითმომსახურების ტერმინალები და სწრაფი გადახდის აპარატები;
- მანქანა-დანადგარები და საწარმოო ხაზები, საყოფაცხოვრებო მოხმარების ნივთები და ტექნიკა;
- ინვენტარი, ავეჯი და ტექნიკა, ინტერიერის საგნები;
- იარაღი და საბრძოლო მასალა, სარეწი იარაღები;
- კვების პროდუქტები;
- ხისგან აგებული მზიდი კონსტრუქციის მქონე ნაგებობები;
- მიწის დონეზე ქვემოთ განლაგებული ნაგებობები და ფართებისთვის არ იქნა დაფარული წყალდიდობით მიყენებული ზიანი;
- ისეთი არასაცხოვრებელი ფართები, რომლებიც გამოიყენება საწყობად და ამასთანავე არ არის დამოტაჟებული ავტომატური ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები;
- დაუმთავრებელია დასაზღვევი ობიექტის მშენებლობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კონსტრუქციას გააჩნია მინიმუმ გადახურული კარკასი (მაგრამ იმ შემთხვევაში თუ დასაზღვევი ობიექტი არაა შემინული, დამატებითი გამონაკლისი იქნება წვიმით, სეტყვით და წყალდიდობით მიყენებული ზიანი);
- შენობებისა და ნაგებობების გარე კედლებზე დამაგრებული ობიექტები: ანძები, ანტენები, ღია ელექტროსადენები, სარეკლამო დანადგარები, ბილბორდები და ა.შ.
- ყველა სახის მიწისზედა და მიწისქვეშა გადამცემი და გამანაწილებელი ხაზები, რომელიც განკუთვნილია ელექტრო ენერგიის გადასაცემად და ყველა სხვა სახის ინფორმაციული კომუნიკაციისათვის;
- მაღაროები, კარიერები;
- ცხოველები, ფრინველები, მცენარეები, ნარგავები, ნათესები და მათი მოსავალი;
- სატრანსპორტო საშუალებები და სხვა მოძრავი ტექნიკა: ავტომობილები და მისაბმელები, ტრაქტორები, ბულდოზერები, და სხვა სპეციალიზირებული ტექნიკა.

საერთო გამონაკლისები

სადაზღვევო შემთხვევად არ ითვლება, სტანდარტულ გამონაკლისად მიიჩნევა და, შესაბამისად, სადაზღვევო ანაზღაურებას არ ექვემდებარება ზარალი, რომელიც დადგა:

- დაზღვევის პერიოდის დაწყებამდე, მაგრამ გამოვლინდა დაზღვევის პერიოდში, ნებისმიერი დაზღვევამდე არსებული მიზეზით;
- ქონების (მისი შიგთავსის) სიძველით, ლპობით, დუდილით, ხანგრძლივი ექსპლუატაციით, ცვეთით, ამორტიზაციით, გაუფასურებით, კოროზიით, წონაში ცვლილებით, დაოხებით, ფერმენტაციით, დადგენილ სტანდარტებთან/ნორმებთან შეუსაბამობით, თვითაალებით ან სხვა ბუნებრივი/ხარისხობრივი თვისებებით, რომელსაც განიცდის დაზღვეული ქონებისა ან მასთან დაკავშირებული პროცესების მიმართ სახელმწიფო მოთხოვნების დაუცველობით, ან თუ მისი დადგომა გარდაუვალი იყო ქონების ან საქმიანობის სპეციფიკაციის ცვლილებიდან გამომდინარე;
- დამზღვევის (დაზღვეულის, მოსარგებლის), მისი წარმომადგენლის, თანამშრომლის ბრალით - განზრახი ქმედებით ან უხეში გაუფრთხილებლობით (მათ შორის, შესაბამისი ნორმატივის, სახანძრო თუ სხვა წესის ან/და ტექნოლოგიის დაუცველობა, არასწორი

- ექსპლუატაცია, საფრთხის დროულად აღმოუფხვრელობა, ზარალის თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად სათანადო ზომების გამოუყენებლობა, ნარკოტიკული, ალკოჰოლური, ტოქსიკური, ფსიქოტროპული ან მათი ანალოგის ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ყოფნა);
- ბირთვული აფეთქების ზემოქმედებით, რადიაციის ან რადიოაქტიური დაბინძურებით;
 - ექსპერიმენტული ან კვლევითი სამუშაოებით, ან ქონების არადანიშნულებისამებრ გამოყენებით;
 - დაზღვეული ქონების ცეცხლით, სითბოთი ან სხვა სახის თერმული დამუშავებით (გაშრობა, ხარშვა, დნობა და სხვ.) გამოწვეული ხანძრით, რომელიც ცალსახად ზრდის სადაზღვევო რისკის მოხდენის ალბათობას, თუ ეს უშუალოდ არ არის გამოწვეული დაზღვეულის ტექნოლოგიური ბიზნეს პროცესებით.
 - შიგაწვის პრავასა ან ანალოგიურ მანქანა-დანადგარებზე წვის კამერაში მომხდარი აფეთქების შედეგად;
 - ასაფეთქებელი ნივთიერების აფეთქებით („ასაფეთქებელი ნივთიერების” ქვეშ იგულისხმება ნივთიერების ნარევი ან ქიმიური შენაერთი, რომელსაც აქვს სწრაფი ქიმიური რეაქციის უნარი, თან სდევს დიდი ოდენობით სითბოსა და გაზის გამოყოფა და სპეციალურად დანიშნულია ამა თუ იმ ფორმით აფეთქებისათვის) იმ შემთხვევაში, თუ მზღვეველისთვის ეს გარემოება ცნობილი არ იყო დაზღვევის განხორციელებამდე;
 - მიწისძვრის შედეგად, თუ დაზღვეული შენობა-ნაგებობის დაზიანება/განადგურება გამოიწვია მიწისძვრამ, რომლის სიძლიერეც ნაკლებია 4.0 მაგნიტუდაზე რიხტერის სკალით. მშენებლობა-რეკონსტრუქციისას გათვალისწინებული არ იყო სეისმოლოგიური პირობები ან თუ დაზღვეული შენობა-ნაგებობა ამორტიზებული იყო და შემფასებლის მიერ არ იყო მითითებული დასკვნაში;
 - მღრღნელების ან და მავნებლების მიერ;
 - მშენებლობების, ნაგებობების ან მათი ნაწილის, ასევე მათში არსებული ქონების ნგრევა ან დაზიანება, თუ ეს გამოწვეულია მშენებლობის, დამზადების ან მასალის დეფექტით;
 - ნებისმიერი პირის თაღლითური ქმედებით;
 - მეწყერის, გრუნტის დაჯდომის ან სხვა მოძრაობის შედეგად, თუ ეს გამოწვეულია ასაფეთქებელი სამუშაოების, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებით ან გადამუშავებით თუ ეს განპირობებულია მესამე მხარის ბრალით;
 - დაზღვეულ ობიექტში ან ნაგებობაში თოვლის, სეტყვის ან წყლის შეღწევით ღია ფანჯრებიდან ან კარებიდან. ასევე სხვა ხვრელებიდან, რომელიც გაკეთებულია წინასწარგანზრახულად, ან წარმოქმნილია სიძველით ან სამშენებლო დეფექტით;
 - დანესტიანებით;
 - ზარალს, გამოწვეულს წყალმომარაგების/გათბობის სისტემის ზედმეტად დატვირთვით;
 - დატბორვით გამოწვეულ ზარალს, რომელიც მიყენებულ იქნა ექსპლუატაციაში ჯერ არ გაშვებული შენობებისთვის და მათ შიგნით მდებარე ქონებისათვის;
 - ფანჯრის მინების, სარკეების, ვიტრინების და სხვა შუშის ნაწილების მსხვრება, თუ ეს არაა გამოწვეული მე-3 თავში მითითებული დაზღვეული რისკებით;
 - ფუნდამენტების, კედლების, მზიდი კონსტრუქციების ან გადახურვების, საინჟინრო ნაგებობების დაწევა, დსკდომა, შეკუმშვა, გაფართოება ან ამოზურცვა;
 - დასაზღვევ ობიექტზე მიმდინარე საქმიანობა დაკავშირებულია ფეთქებადი/ადვილად აალებადი ნივთიერებების და მასალების წარმოებასთან, შენახვასთან (ამგვარი

ნივთიერებების და მასალების საცავები), გამოყენებასთან (მშენებლობა, ინდუსტრიული ნაგებობები);

- დასაზღვევი ობიექტის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარეობს მშენებლობა (ამ შემთხვევაში გამონაკლისი იქნება ზარალი, რომელიც მიაღდა დასაზღვევ ობიექტს მის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების შედეგად);

- კონფისკაციით, რეკვიზიციით, დაპატიმრებით ან სახელმწიფო ორგანოების ბრძანებით დაზღვეული ქონების დაზიანებით/განადგურებით;

- საომარი მოქმედებით (მიუხედავად იმისა ომი გამოცხადებულია თუ არა), შეიარაღებული ამბოხებით, მასობრივი არეულობით ან სამოქალაქო მღელვარებით, გაფიცვით, სამოქალაქო ომით, სამხედრო გადატრიალებით, ან სახალხო აჯანყებით, რევოლუციით, სამხედრო ან უზურპირებული ძალაუფლების ქმედებით, სამხედრო ან საგანგებო მდგომარეობით ან სხვა ნებისმიერი მოვლენით ან გარემოებით, რის შედეგადაც გამოცხადებულია სამხედრო ან საგანგებო მდგომარეობა, ან ყოველივე ამისაგან გამომდინარე მიზეზებით;

- ნებისმიერი ტერორისტული აქტის ან მისი მცდელობის შედეგად.

- ვიტრინის, მინის კედლის, ვიტრაჟის, ფანჯრის/კარის მინისა ან ამ მინის ჩარჩოს, შენობა-ნაგებობის გარეთა მხრიდან მიმაგრებული ან გაყვანილი საგნის (ანძა, ანტენა, დაფა, ფირნიში, სარეკლამო მოწყობილობა, საკომუნიკაციო, ელექტროგაყვანილობის ან მილების სისტემა და ა.შ.) დაზიანებით (ავარიით) ან განადგურებით, თუ პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

- საკომუნიკაციო, ელექტროგაყვანილობის ან მილების სისტემის ის ნაწილი, რომელიც ცდება ქონების ტერიტორიას 1,000 მეტრი რადიუსით;

- ღია ფანჯრის/კარის გზით, თუ გაღება გამოწვეული არ იყო იმ სტიქიური უბედურების, როგორც დაზღვეული რისკის, შედეგად;

- ქონების ცალკეული შემადგენელი დაზღვეული ნივთების (მოძრავი ქონების) ღია ცის ქვეშ განთავსების შედეგად;

- კომერციული, საწარმოო ან ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობის, მისი შემადგენელი ნაწილის დაზიანება მესამე პირის ბრალით, ქურდობა, ძარცვა ან ყაჩაღობა, იმ შემთხვევაში თუ კანონით სავალდებულო იყო და შენობა-ნაგებობას არ გააჩნდა კანონის მიხედვით ლიცენზირებული დაცვითი მომსახურება ან საკუთარი დაცვის სამსახური; ხოლო, ქონების შიგთავსის დაზღვევის შემთხვევაში, ქურდობა/ძარცვა/ყაჩაღობის რისკი დაზღვეული არ არის, თუ ობიექტს არ გააჩნია არანაირი დაცვითი მომსახურება.

- კომერციული, საწარმოო ან ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობის, მისი შემადგენელი ნაწილის ან/და მისი შიგთავსის დაზიანება ხანძრის რისკის შედეგად, თუ შენობა-ნაგებობას არ გააჩნდა ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა;

- ისეთი გარემოების შედეგად, რაც ზრდიდა სადაზღვევო რისკის დადგომის ალბათობას, დაზღვევის ძალაში შესვლამდე ან მის შემდეგ ცნობილი იყო ან ცნობილი უნდა ყოფილიყო დამზღვევისათვის (დაზღვეულისათვის, მოსარგებლისთვის) და;

- ა)მან არ იზრუნა ამ გარემოების გამოსასწორებლად, რათა რისკი/ზიანი გამორიცხულიყო ან შემცირებულიყო; და

- ბ)ამის შესახებ წერილობით არ ან დაგვიანებით ეცნობა მზღვეველს ან ეცნობა არასრულად;

- კანონმდებლობით ან ამ პირობებით განსაზღვრული სხვა ისეთი ფაქტობრივი გარემოებების არსებობისას, რომლებიც დამზღვევის (დაზღვეულის) ბრალეულობას ავლენს ან/და სადაზღვევო ანაზღაურებას გამორიცხავს.

- ანაზღაურებას არ ექვემდებარება;
 - ის ხარჯები, რომლებიც საჭიროა მიღგაყვანილობის, გათბობისა თუ ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის შეცვლის, შეკეთების ან გაყინვის შემდეგ მათი გათბობისათვის;
 - ის ხარჯები, რაც საჭიროა დაზიანებული ქონების ან მისი მიმდებარე ტერიტორიის დასასუფთავებლად-მოსაწესრიგებლად (თუ პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული);
 - ზიანი, რომლის დადგომა ან/და ოდენობა დოკუმენტურად დაუსაბუთებელია;
 - ქონების რეგისტრაციისთვის საჭირო თანხები;
 - ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების ხარჯები;
- ქონების გადაკეთების ან გაუმჯობესების ხარჯები.

ანაზღაურების ძირითადი პირობები

- დამზღვევმა (დაზღვეულმა) მზღვეველს წერილობით ან ცხელი ხაზის მეშვეობით უნდა შეატყობინოს სადაზღვევო შემთხვევის შესახებ მისი აღმოჩენიდან დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უმეტეს 48 საათში და დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს შესაბამის ორგანოებს მომხდარი ფაქტის დაფიქსირების მიზნით, ხოლო - შემთხვევისდაგვარად მოკლე ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს 1 თვისა უნდა წარუდგინოს ზიანის განაცხადი, რომელიც სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის განხილვის საფუძველია. მზღვეველი თავისუფლდება ვალდებულებისაგან, თუ იგი აღნიშნულ ვადაში არ მიიღებს შეტყობინებას.
- მზღვეველი შემთხვევის რეგულირების პროცესს იწყებს დამზღვევის მიერ წერილობითი ზიანის განაცხადის წარდგენისთანავე. დამზღვევი ვალდებულია მზღვეველს მიაწოდოს ყველა დოკუმენტი, რომელიც სჭირდება (აუცილებელია) შემთხვევის რეგულირებისათვის.
- ზიანის დადგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში თუ მზღვეველს გადაცემული აქვს ყველა აუცილებელი დოკუმენტი, შედგება სადაზღვევო შემთხვევის აქტი, სადაც შეტანილი უნდა იქნეს შემდეგი გარემოებები:
 - ა) ინფორმაცია სადაზღვევო ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტების შესახებ;
 - ბ) ინფორმაცია დაზღვეული საგნისა და უზრუნველყოფილი სესხის მოცულობის შესახებ;
 - გ) მოკლე ინფორმაცია შემთხვევის შესახებ;
 - დ) მზღვეველის მიერ გასაცემი და დასაქვითი თანხების რაოდენობა;
- მზღვეველი მოსარგებლეზე სადაზღვევო ანაზღაურებას გაცემს სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული ყველა საჭირო დოკუმენტაციის მიღებისა და სადაზღვევო შემთხვევის სერტიფიკატის/შემთხვევის აქტის ორმხრივად ხელმოწერიდან 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში.